

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური

და მმართველობის ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	11
5. შეწყვეტილი ოპერაციები	12
6. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას	13
7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	14
8. კომერციული ხარჯები	15
9. ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
10. საპროცენტო ხარჯები	16
11. საკუთარ მოგება/ზარალი	16
12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში.....	16
13. საწესდებო კაპიტალი.....	16
14. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	17

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	22
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	22
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	22
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	22
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შუხმან კაპიტალის“ ხელმძღვანელობას და მეწილეებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „შუხმან კაპიტალის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებით შენიშვნაშია მოცემული, რეორგანიზაციის შედეგად, 2020 წელს ჯგუფიდან გავიდა შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას და შპს შუხმან რიალ ისთეითის ინვესტიციები ჯამური ღირებულებით 1,859 ლარი, რის შემდეგაც დარჩენილმა ინვესტიციამ მეკავშირე საწარმოში შეადგინა 1,764 ლარი. ჯგუფს არ შეუფასებია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას, როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს-ის მე-9 განყოფილება. შედეგად, არასწორად არის წარდგენილი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული აქტივი შეადგენს მთლიანი აქტივების 97.7%-ს და ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ ამ შეუსაბამობის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-24 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ გამოცემულ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან, ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ გამოცემულ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან, ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.



შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	6	-	11,142
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	-	(6,889)
საერთო მოგება		-	4,253
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	6	-	79
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით			
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6	94
კომერციული ხარჯები	8	-	(1,176)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	-	(2,172)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(64)
საოპერაციო მოგება		6	1,014
საპროცენტო შემოსავალი		-	46
საპროცენტო ხარჯი	10	(139)	(503)
საკურსო მოგება/(ზარალი)	11	(705)	(320)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(838)	237
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(838)	237
შეწყვეტილი ოპერაციები:			
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	5	2,030	-
წლის სრული შემოსავალი		1,192	237
მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		400	(38)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		792	275

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი


შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	6	-	11,142
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	-	(6,889)
საერთო მოგება		-	4,253
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	6	-	79
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით			
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6	94
კომერციული ხარჯები	8	-	(1,176)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	-	(2,172)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(64)
საოპერაციო მოგება		6	1,014
საპროცენტო შემოსავალი		-	46
საპროცენტო ხარჯი	10	(139)	(503)
საკურსო მოგება/(ზარალი)	11	(705)	(320)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(838)	237
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(838)	237
შეწყვეტილი ოპერაციები:			
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	5	2,030	-
წლის სრული შემოსავალი		1,192	237
მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		400	(38)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		792	275

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		42	9,678
საინვესტიციო ქონება		-	1,816
ბიოლოგიური აქტივები		-	1,795
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	12	1,764	-
არამატერიალური აქტივები		-	21
გაცემული სესხი		-	103
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,806	13,413
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		-	4,185
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		36	1,485
საგადასახადო აქტივი		-	107
ფული და ფულის ექვივალენტები		-	713
სულ მიმდინარე აქტივები		36	6,490
სულ აქტივები		1,842	19,903
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	147	147
გაუნაწილებელი მოგება	13	1,626	4,693
სულ მფლობელის კაპიტალი		1,773	4,840
არამაკონტროლებელი წილი		-	587
სულ კაპიტალი		1,773	5,427
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		6	8,893
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6	8,893
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		59	2,830
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4	2,753
სულ მიმდინარე ვალდებულებები		63	5,583
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,842	19,903

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	147	4,731	4,878	312	5,190
მიმდინარე წლის მოგება	-	(38)	(38)	275	237
31 დეკემბერი 2019	147	4,693	4,840	587	5,427
წლის სრული შემოსავალი	-	400	400	792	1,192
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	3,126	3,126	-	3,126
შვილობილი საწარმოს გასვლა	-	(6,593)	(6,593)	(1,379)	(7,972)
31 დეკემბერი 2020	147	1,626	1,773	-	1,773

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საოპერაციო საქმიანობა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი	1,192	237
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	683	638
ფინანსური შემოსავალი	(44)	(34)
ფინანსური ხარჯი	524	397
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანარიცხი	35	-
ბიოლოგიური აქტივების მოსავლის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	162	(79)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	344	183
საკურსო მოგება/(ზარალი)	779	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	3,675	1,342
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(518)	4,854
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(4,477)	1,178
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	277	(107)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	597	(603)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	36	(19)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(410)	6,645
გადახდილი პროცენტი	(292)	(324)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/ (საქმიანობაზე)	(702)	6,321
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(501)	(4,972)
ბიოლოგიური აქტივების შესყიდვა	(17)	(813)
საინვესტიციო ქონება	1,237	(1,890)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(11)
გაცემული სესხები	(516)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან/ (საქმიანობაზე)	203	(7,686)
ფინანსური აქტივობები		
აღებული სესხი	2,061	2,258
სესხის დაფარვა	(1,429)	(1,021)
მიღებული პროცენტი	-	23
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	632	1,260
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ (შემცირება)	133	(105)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	713	818
რეორგანიზაციის შედეგად გასული ფულადი სახსრები	(846)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	-	713

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს შუხმან კაპიტალი (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2013 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405013248. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია ბურჰარდ შუხმანის ფონდი (გერმანია). საანგარიშგებო პერიოდში მოხდა ჯგუფის სრუქტურის ცვლილება, დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

ძირითადი საქმიანობა. შპს შუხმან კაპიტალის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების მართვა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავის რაიონი, სოფელი კისისხევი.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდნენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს შუხმან ვაინს ჯორჯია	ღვინის წარმოება/რეალიზაცია	39.2%	80%
შპს შუხმან რიალ ისთეითი	ვილების მშენებლობა/რეალიზაცია	-	60%
შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი	არა აქტიური	100%	100%

2020 წლის 16 დეკემბერს, კომპანიის მეწილეების გადაწყვეტილებით, შპს "ენ ეი გრუპი" გავიდა კომპანიის მართვიდან, რის შედეგადაც მის მფლობელობაში არსებული 51% გადანაწილდა, მეორე პარტნიორზე შუხმან ბურხარდ კრისტიანზე. აღნიშნული ოპერაციის სანაცვლოდ მეწილეების გადაწყვეტილებით შპს "შუხმან კაპიტალი" საკუთრებაში გადასცემს შპს "ენ ეი გრუპ"-ს შპს "რიალ ისთეით"-ის კაპიტალში არსებულ 60% წილს სრულად და შპს "შუხმან ვაინს ჯორჯია"-ს კაპიტალში არსებული 80% წილიდან 40.8% წილს.

გასვლის თარიღიდან, 16 დეკემბერიდან წლის ბოლომდე შვილობილების ოპერაციები არაარსებობის გამო, ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაში და მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მთელი წლის ოპერაციებს.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ“ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ (მათ შორის საქართველოშიც) დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტირების შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დამშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 და 2019 წლის წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ინვესტიცია რომელიც აღარ კლასიფიცირდება შვილობილ საწარმოდ, მაგრამ კომპანია კვლავ ფლობს გარკვეულ ინვესტიციას ყოფილ შვილობილ საწარმოში და ინარჩუნებს მნიშვნელოვან გავლენას, აღირიცხება მე-14 განყოფილება „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ შესაბამისად.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10 დან 50
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5 დან 50
სპეციალური ავზები	10 დან 50
საოფისე ინვენტარი და ავეჯი	2 დან 15
რესტორნისა და სასტუმროს ავეჯი და ინვენტარი	2 დან 20
სატრანსპორტო საშუალებები	5 დან 15
სხვა აქტივები	5 დან 20

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღრიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. ჯგუფი საინვესტიციო ქონებების აღსარიცხად იყენებს თვითღირებულების მოდელს.

ბიოლოგიური აქტივები. ჯგუფის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ვენახებს, ვინაიდან ამ ბიოლოგიური აქტივების კატეგორიისთვის, რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეუძლებელია ჯგუფი ბიოლოგიურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ჯგუფი ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

ჯგუფი ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქცია აფასებს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯები, ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაყოფის მომცემი ვენახები	18 - 30 წელი
სხვა ბიოლოგიური აქტივები	15 - 75 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება გაყიდული საქონლის თვითღირებულებით საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

ჯგუფში შემავალი კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, ქმნის უძრავ ქონებას რომელიც საწყისი აღიარებისას აღრიცხება, როგორც სასაქონლო-

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულებაში შედის:

- მიწის თვითღირებულება;
- სამშენებლო მასალებში გადასახდელი თანხები, ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;
- დაგეგმარებისა და დაპროექტების დანახარჯები, ობიექტის მომზადების ხარჯები, მშენებლობის ზედნადები ხარჯი და სხვა შესაბამისი დანახარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს, საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. აღნიშნული თანხა დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად (თუ სხვაობა არსებითია), რაც რა თქმა უნდა მცირდება დასრულებისთვის აუცილებელი დანახარჯით და გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკუთრო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

- **ამონაგები ალკოჰოლური სასმლის რეალიზაციიდან.** ჯგუფი ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- **ამონაგები სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან.** ჯგუფი მომხმარებლებს აწვდის სასტუმროს მომსახურებას, საკვების და სასმელის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ: ა) ჯგუფი შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

შეწყვეტილი ოპერაცია. შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც ან გაიყიდა, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და: (ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; (ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან (გ) არის გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შეწყვეტილი ოპერაციები

2020 წლის 16 დეკემბერს, კომპანიის მეწილეების გადაწყვეტილებით, შპს "ენ ეი გრუპი" გავიდა კომპანიის მართვიდან, რის შედეგადაც მის მფლობელობაში არსებული 51% გადანაწილდა, მეორე პარტნიორზე შუხმან ბურხარდ კრისტიანზე. აღნიშნული ოპერაციის სანაცვლოდ მეწილეების გადაწყვეტილებით შპს "შუხმან კაპიტალი" საკუთრებაში გადასცემს შპს "ენ ეი გრუპ"-ს შპს "რიალ ისთიით"-ის კაპიტალში არსებულ 60% წილს სრულად და შპს "შუხმან ვაინს ჯორჯია"-ს კაპიტალში არსებული 80% წილიდან 40.8% წილს.

რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ბურკჰარდ შუხმანის ფონდი.

შეწყვეტილი ოპერაციების საბალანსო მუხლების ეფექტი (გასვლა)/შემოსვლა:

	31 დეკემბერი 2020
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	(9,550)
საინვესტიციო ქონება	(542)
ბიოლოგიური აქტივები	(1,986)
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	1,764
არამატერიალური აქტივები	(17)
გაცემული სესხი	(395)
სულ გრძელვადიანი აქტივები	(10,726)
მიმდინარე აქტივები	
სასაქონლო მატერიალური მარაგები	(4,276)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,530)
საგადასახადო აქტივი	-
ფული და ფულის ექვივალენტები	(846)
სულ მიმდინარე აქტივები	(7,652)
სულ აქტივები	(18,378)
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	-
გაუნაწილებელი მოგება	(6,593)
სულ მფლობელის კაპიტალი	(6,593)
არამაკონტროლებელი წილი	(1,379)
სულ კაპიტალი	(7,972)
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გრძელვადიანი სესხები	(2,414)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	(2,414)

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შეწყვეტილი ოპერაციები (გაგრძელება)

მიმდინარე ვალდებულებები	
საგადასახადო ვალდებულება	(205)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(4,658)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,129)
სულ მიმდინარე ვალდებულებები	(7,992)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	(18,378)

შეწყვეტილი ოპერაციების მოგება-ზარალის მუხლების ეფექტი:

	2020
ამონაგები რეალიზაციიდან	11,367
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(6,209)
საერთო მოგება	5,158
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	(162)
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით	460
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(733)
კომერციული ხარჯები	(2,170)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(107)
საოპერაციო მოგება	2,446
	-
საპროცენტო შემოსავალი	66
საპროცენტო ხარჯი	(408)
საკურსო მოგება/(ზარალი)	(74)
მოგება გადასახადების გადახდამდე	2,030
მოგების გადასახადი	-
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება	2,030
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე	1,238
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	792
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება	2,030

6. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას

	2020	2019
ამონაგები ღვინის რეალიზაციიდან	-	7,061
ამონაგები ვილების რეალიზაციიდან	-	1,601
ამონაგები სასტუმროს მომსახურებიდან	-	1,272
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	-	956
ამონაგები სპის მომსახურებიდან	-	197
სხვა	-	55
სულ	-	11,142

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას (გაგრძელება)

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით:

	2020	2019
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი	-	573
აღებული მოსავლის (ყურძენი) სამართლიანი ღირებულება	-	(494)
მოსავლის მოყვანის დანახარჯები	-	79

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული ღვინის თვითღირებულება (ა)	-	(4,400)
რეალიზებული ვილების თვითღირებულება	-	(861)
სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები (ბ)	-	(806)
რესტორნის პირდაპირი დანახარჯები (გ)	-	(734)
სპის პირდაპირი დანახარჯები	-	(9)
სხვა ხარჯები	-	(79)
სულ	-	(6,889)

(ა) რეალიზებული ღვინის თვითღირებულება

	2020	2019
წარმოების პირდაპირი დანახარჯები	-	(4,166)
ცვეთის ხარჯი	-	(234)
სულ	-	(4,400)

(ბ) სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები

	2020	2019
სახელოვანო ხარჯი	-	(337)
ცვეთის ხარჯი	-	(174)
კომუნალური ხარჯები	-	(88)
მართვაში აღებული სასტუმროს ნომრების საფასური	-	(83)
კვების ხარჯი	-	(78)
დასუფთავების ხარჯები	-	(31)
სხვა	-	(15)
სულ	-	(806)

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (გაგრძელება)

(გ) რესტორნის პირდაპირ დანახარჯები

	2020	2019
სახელფასო ხარჯი	-	(272)
სამზარეულოს მარაგების ხარჯის	-	(222)
დეგუსტაციის ხარჯი	-	(90)
კომუნალური ხარჯები	-	(55)
ცვეთის ხარჯი	-	(40)
დასუფთავების ხარჯები	-	(31)
სხვა	-	(24)
სულ	-	(734)

8. კომერციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	-	(300)
საშუამავლო ხარჯი	-	(237)
რეკლამის ხარჯი	-	(193)
ტრანსპორტირების ხარჯი	-	(174)
ექსკლუზივის ხარჯი	-	(66)
ფრენჩაიზის ხარჯი	-	(60)
გამოფენის ხარჯი	-	(58)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(15)
სხვა	-	(73)
	-	(1,176)

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	-	(907)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	-	(230)
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	-	(183)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	-	(146)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(117)
დაზღვევა	-	(71)
ბანკის მომსახურების ხარჯი	-	(57)
საწვავის ხარჯი	-	(48)
მივლინების ხარჯები	-	(41)
იჯარის ხარჯი	-	(32)
ტრანსპორტირების ხარჯი	-	(31)
საპენსიოს ხარჯი	-	(30)
კომუნალური ხარჯები	-	(16)
სხვა ხარჯები	-	(263)
სულ	-	(2,172)

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საპროცენტო ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხებზე	(139)	(316)
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებულ სესხებზე	-	(187)
სხვა	-	-
სულ	(139)	(503)

11. საკუროსო მოგება/ზარალი

	2020	2019
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	-	(57)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(90)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	133
გრძელვადიანი სესხები	(705)	(306)
სულ	(705)	(320)

12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

კომპანია	წილი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს შუხმან ვაინს ჯორჯია	%	39.2%	80%

„ჯგუფი“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მეკავშირე საწარმოში ფლობილ ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით.

13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 147 ლარს.

2020 წლის 22 ივნისს ჯგუფსა და მეწილეს, კრისტიან შუხმანს, შორის მომხდარი შეთანხმების თანახმად ჯგუფის მეწილის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება 6,165 ლარის ოდენობით და შვილობილ საწარმოში არსებული მოთხოვნა 3,039 ლარი ოდენობით გაიქვითა ერთმანეთში, ოპერაციის ეფექტი 3,126 ლარი ასახულია კაპიტალის გავლით და არ ხვდება მოგება/ზარალის უწყისში.

2020 წლის 11 დეკემბერს, კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს „ენ ეი გრუპი“, რომელიც 2020 წლის 16 დეკემბერს კომპანიის მეწილეების გადაწყვეტილებით, გავიდა კომპანიის მართვიდან, რის შედეგადაც მის მფლობელობაში არსებული 51% გადანაწილდა, მეორე პარტნიორზე შუხმან ბურხარდ კრისტიანზე. ხოლო 2020 წლის 24 დეკემბერს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ბურკჰარდ შუხმანის ფონდი (გერმანია).

14. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს შუხმან კაპიტალი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „შუხმან კაპიტალი“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2013 წელს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან კაპიტალის“ მესაკუთრეები არიან:

- ნინო აბრამიშვილი - 51%
- ბურხარდ კრისტიან შუხმანი - 49%

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან კაპიტალის“ დირექტორი იყო ნინო აბრამიშვილი.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

დედა კომპანიას 2020 წლის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია.

ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ღვინის წარმოება და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზრებზე;
- სასტუმრო მომსახურების გაწევა;
- სარესტორნო მომსახურების გაწევა;
- ვილების მშენებლობა და შემდგომი რეალიზაცია;

ჯგუფის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	2019
ამონაგები ღვინის რეალიზაციიდან	-	7,061
ამონაგები ვილების რეალიზაციიდან	-	1,601
ამონაგები სასტუმროს მომსახურებიდან	-	1,272
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	-	956
ამონაგები სპის მომსახურებიდან	-	197
სხვა	-	55
	-	11,142

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ამჟამად ჯგუფი 15-ზე მეტი დასახელების ვაზის ჯიშისგან წარმოებულ პროდუქციას, კერძოდ: ღვინოს, ჭაჭას და ცქრიალა ღვინოს ამზადებს. ჯგუფმა ასევე გამოუშვა, სრულიად ახალი ხაზის –პროდუქციაც, კერძოდ ყურძნის წიპწის ზეთი.

ჯგუფის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის ღვინის რეალიზაციაზე, საიდანაც 97% წარმოადგენს ექსპორტზე რეალიზაციას, ხოლო 3% ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას. ჯგუფი პროდუქციას 20-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის. შუხმანის ღვინოები ევროპის, აზიისა და აშშ-ს ბაზრებზეა წარმოდგენილი.

ადგილობრივ ბაზარზე ჯგუფი ღვინის რეალიზაციას ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით.

ჯგუფის ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს მცირე ზომის ვილების მშენებლობა, მათი რეალიზაცია და უკან დაბრუნება მართვაში. ვილები მესაკუთრეებს ბარდება სრული რემონტით. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა და დეველოპმენტი, ხოლო ვილების ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ ჯგუფი იწყებს სასტუმროს მართვას. მშენებლობა მიმდინარეობს კახეთში, კისისხევში.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

ჯგუფი მომსახურებას ეწევა სასტუმრო და სარესტორნე მიმართულებით, საიდანაც გენერირებული ამონაგები შეადგენს სრული ამონაგების 6%-ს.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2020 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ნინო აბრამიშვილი. წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

ჯგუფი შედგება დედა კომპანიისგან-შპს შუხმან კაპიტალი და ორი შვილობილი კომპანიისგან:

შვილობილი კომპანია	2020	2019
შპს შუხმან ვაინს ჯორჯია	39.2%	80%
შპს შუხმან რიალ ისთეითი	-	60%
შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი	100%	100%


2020 წლის დეკემბერში მოხდა ჯგუფის რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც ჯგუფს გამოეყო შემდეგი შვილობილები: შპს შუხმან ვაინს ჯორჯია და შპს შუხმან რიალ ისთეითი. აღნიშნულ კომპანიებში ჯგუფი შესაბამისად ფლობდა 80% და 60%-იან წილს, კომპანიას რეორგანიზაციის შედეგად დარჩა შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას 39.2%-იანი წილი. რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ბურკჰარდ შუხმანის ფონდი.

დედა კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული ჯგუფში შემავალი კომპანიების როგორც სტრატეგიული ასევე მოკლევადიანი საოპერაციო მიზნების ჩამოყალიბება-იმპლემენტაციის პროცესში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა - 0 ლარი, ჯგუფის შემოსავლები 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა - 100%-ით. რაც უკავშირდება ჯგუფიდან ორი შვილობილის გასვლას.



შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი კოეფიციენტები:

	2020	2019
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	-	1.16%
მოგების მარჟა	-	39%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	(46%)	1.2%
სულ აქტივები	1,842	19,903
სულ შემოსავლები	-	11,142
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	114	170

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა - (2019-229). ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფი მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე. საოპერაციო ხარჯების, გაყიდვის გეგმების და სხვა სტრატეგიული საკითხების კუთხით მენეჯმენტს აქვს მუდმივი კავშირი როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ მომწოდებლებთან და რეგულარულად ხდება შედეგების შეფასება და მომავალი სამოქმედო გეგმების შეთანხმება.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ არარეზიდენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯგუფის პროდუქციის ექსპორტს უცხოურ ბაზრებზე.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება შემდეგი მარეგულირებელი ნორმებით:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება N2-82 “ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- სხვა ნორმატიული აქტები.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლის მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

ჯგუფის განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოვება
- სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირება და გაფართოვება.

ჯგუფი ასორტიმენტის გაფართოვებას გეგმავს საკუთარი წარმოების ვენახიდან მიღებული მოსავლით. ჯგუფი აგრძელებს ვაზების გაშენებას და 2020 წლის ბოლოს მის საკუთრებაშია - 3ა-ზე გაშენებული ვენახი. ჯგუფის მიზანია წარმოება სრულად უზრუნველყოს საკუთარი ვენახიდან მიღებული მოსავლით. ყურძნის საკუთარი წარმოების პირობებში ჯგუფი სრულად გააკონტროლებს აგროწესების დაცვას, რაც საბოლოოდ აისახება წარმოებული ღვინის ხარისხში.

ჯგუფის ხელმძღვანელობა სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირებას გეგმავს ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებით, არხების გაუმჯობესებით და მიზნობრივი მარკეტინგით ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლებით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2020	2019	გადახრის ახსნა
სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	4,185,470	შენიშვნა 1
საინვესტიციო ქონება	-	1,816,216	შენიშვნა 1
ძირითადი საშუალებები	42	9,677,982	შენიშვნა 1
ბიოლოგიური აქტივები	-	1,794,593	შენიშვნა 1
სესხები	5	11,722,249	შენიშვნა 1

შენიშვნა #1:

2020 წელს ჯგუფიდან გავიდა ორი შვილობილი კომპანია, რამაც განაპირობა შესაბამისი აქტივების და ვალდებულებების გასვლა ჯგუფიდან.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.50
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.10%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	4.90%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,310.80
უმუშევრობის დონე, %	18.5%	11.60%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული რამდენიმე მსხვილ კონტრაგენტზე. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯგუფში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოხიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
გენერალური დირექტორი

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
გენერალური დირექტორი